№ 176 აგვისტო 14, ხუთშაბათი 1886 აგვისტო 14, ხუთშაბათი № 176

გაზეთი ღირს

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12	10 —	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	7 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, შავერდოვის საგაზეთოს, ცენტრალურსა ტგრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1886 წელიწადი

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1886 წელიწადი

გაზეთი „ივერია“ 1-ლის აგვისტოდამ წლის დამლევამდე ღირს 5 მ. 50 კაპ.

ტფილისი, 13 აგვისტო

წინა წერილებიდამ სჩანს, რომ იმ გვარი მფლობელობა და ხმარება მიწისა, რომელსაც ჩვენში ხიზნობა ჰქვიან, წარმოსდგა ერთის მხრით იქიდამ, რომ მიწას ხელი არა ჰყვანდა საკეთებლად და მეორეს მხრით ხელს მიწა არა ჰქონდა. მაშასადამე ყოვლად უწინარეს ხიზნობა იმისთანა აგებულებაა, რომელმაც შეაზავა და ერთად შეჰყარა მიწა და ხელი, დროთა ვითარებისა გამო განცალკევებული და ერთმანეთს მოშორებული. რა გზით მოხდა ეს? თქმა არ უნდა, რომ კეთილ-ნებობის მორიგებითა, რომელიც ორისავე მხარესათვის უსათუოდ სახეირო უნდა ყოფილიყო. იმიტომ-რომ ერთის მხრით მემამულეს თავისუფალ კაცთან ჰქონდა საქმე და თავისუფალს კაცს ძალად ვერ მოათრევდა და ვერ დაასახლებდა მამულზედ; მეორეს მხრით თავისუფალს კაცს—ხელ-შეუხებელ საკუთრებასთან, რომელსაც ძალად ვერ შეუვარდებოდა და ვერ დაიჭერდა. ამ გარემოებაში, უეჭველია, ერთი მეორესაგან მიიზიდებოდა უსათუოდ ეკონომიურის ანგარიშითა: სახეიროა, გაძლევ მამულს, სახეიროა, ვიღებ მამულსა. ამის გარეშე მორიგება შეუძლებელია ამისთანა შემთხვევაში.

რომ იძახიან, ჭირმა და შიმშილმა ჩამოაგდო საქართველოში ხიზნობაო, ეგ მტკნარი ტყუილია. გარდა ისტორიულ მოწმობისა, რომელიც ჩვენ წინად მოვიხსენიეთ, ერთი თვალ-საჩინო და უცილობელი საბუთიც სხვა გვაქვს ჩვენის აზრის დასამტკიცებლად. მთავრობისაგან ჩვენში შეკრებილ ცნობებიდამ სჩანს,*) რომ დღეს ჩვენში ხიზნად ითვლება სულ 6153 კომლი; ამათ შორის ირიცხება 1468 კომლი იმისთანა ხიზანი, რომელიც 1861 წლიდამ არის დღევანდელ ადგილას ხიზნად დაბინავებული. სად იყო 1861 წლიდამ დღევანდლამდე ან ჭირი, ან შიმშილი? თუ არ იყო, მაშ რამ გააჩინა 1468 კომლი ხიზანი, ესე იგი, თითქმის მთელი მეოთხედი რიცხვი მთელის ხიზნობისა? აშკარაა ჭირი და შიმშილი-კი არ არის ხიზნობის სათავე, არამედ ის მუდმივი მიზეზია, რომელიც ჩვენ მოვიყვანეთ. ამის გარეშე ხიზნობის გაჩენას სხვა მიზეზი არ მოეპოვება, იმიტომ-რომ არა აქვს.

ამ სახით, იმ გვარი მფლობელობა მიწისა, რომელსაც ჩვენ ხიზნობას ვეძახით, არის უხელო მიწის და უმიწო ხელის ერთმანეთთან მორიგება კეთილ-ნებური, ეკონომიურს ანგარიშზედ აშენებული.

ეს ერთი მხარე ხიზნობის ბუნებისა.

აშკარაა, რომ ეს მორიგება მარტო ერთის პირობით იქნებოდა სახარბიელო და ამიტომაც შესაძლებელი: მამულის პატრონი უნდა გამოლოდნებოდა, რომ ერთხელ გადაწყვეტილს და მორიგებულს სამსახურს, თუ ღალას ხელის-პატრონი არ დამაკლებსო და ხელის-პატრონი—ერთხელ მორიგებულს სამსახურს და ღალას მემამულე არ მომიმატებსო. უამისოდ არც მამულის პატრონი გაიმეტებდა მამულს, რომ მასზედ ხელის-პატრონი დაბინავებულიყო, დაშენებულიყო და ამ სახით მკვიდრად ჩაედგა ფეხი მამულში, არც ხელის პატრონი გამოიმეტებდა თავსა, რომ ხარჯი გაეწია, ბინა დაედგა სხვის მამულში და ამ გზით ასე თუ ისე დაბმულიყო. ამასთან მიწის გაცემა, თუ აღება ვადა-დაუდებელი უნდა ყოფილიყო, რადგანაც უამისოდ ვერც მამულის პატრონი იქნებოდა დაიმედებული, რომ მუდამი შემოსავალი ექმნება და თავდაპირველი წყურვილი კი ამაშია უხელო მემამულისა და ვერც ხელის პატრონი, რომ სამუდამო ბინა მექნებაო, რადგანაც ბინას სხვის მამულში იკიდებდა. აქედამ ცხადია, საითკენ არის მიდრეკილი ხიზნობა, რა გზაზედ სდგას და საით მიეზიდება თვისის ბუნებისამებრ. ამ სახით ხიზნობის მიმართულება იმაში გამოითქვა, რომ ღალა და სამსახური უცვალებელი იყოს. ერთს ჭდეზედ იდგეს და თვით აღებ-მიცემა მიწისა ვადა-დაუდებელი იქმნას.

ეს მეორე მხარე ხიზნობის ბუნებისა.

---

*) Записки совѣта: „о хизанскомъ положенiи“, გვერდი 34.

ახალი ამბავი

⁂ გვატყობინებენ შემდეგს ამბავს: 18 ან 19-ს მარიამობისთვისას ბორჯომში მობძანდებიან დიდის მთავრის მიხაილ ნიკოლოზის ძის ძენი: ნიკოლაი, მიხაილ, გიორგი და ალექსი მიხაილის ძენიო. მათ თან იახლება გენერალი პეტერსიო.

⁂ ქართლ-კახეთიდამ და საზოგადოდ ყველა ჩვენის ქვეყნის მხარეებიდამ სასიამოვნო ამბავი მოგვდის მოსავლის შესახებ: პური, ქერი, სიმინდი და სხვა ბლომად მოვაო. ვენახებიც დიდს ღვინის მოსავალს მოგვცემენო.

⁂ დარები კარგია ბორჯომშიო; აგარად მოსული ხალხი სიამოვნებაშიაო; ღამ-ღამე კი საგრძნობელი სიცივეები ხოლმეო.

⁂ ამ თთვის 3-სა ბორჯომში ვიღაც იუ—ს ქალმა სამჯერ შემოჰკრა სილა ერთს ბორჯომელს მოხელესაო. ამათ ერთმანერთში უსიამოვნობა ჰქონიათ. განკარგულება მოუხდენიათ, რომ უსიამოვნობის მომხდენი ქალი იუ—სა ბორჯომიდამ გააძევონო.

⁂ ბორჯომში, როგორც გვატყობინებენ, მარიამობისთვის 2-სა მისულან ოპერის არტისტი იაკოვლევი და პიანისტი ყორღანოვი; ორჯელ გაუმართავთ კონცერტი და ხალხი ბევრი დასწრებია. ამ დღეებში ტფილისიდამ რუსული დრამატიულის დასის აქტიორებს მოელიან ბორჯომში, რომელთაც წარმოდგენები უნდა გამართონო.

⁂ არა ერთხელ გვითქვამს ჩვენს გაზეთში, რომ ქალაქის მეხუთე განყოფილებაში, მაგალითად ანჩისხატის, კვირა ცხოვლის, პოლიციისა და სხვა ახლო-მახლო ქუჩებში საშინელი კაცისთვის წარმოუდგენელი უსუფთაობაა: ქუჩები ავსებით-ავსებულია ნაგვით, პირუტყვთა და ადამიანთა პატივით, დამპალის ხილით, საზამთროსა და ნესვის ქერქებითა; ქუჩებში ჰყრიან თაგვებს, დახოცილს კატის-კნუტებს და ძაღლის ლეკვებს,—ყველა ეს იხრწნება და ჰსწამლავს ჰაერსა.

⁂ მტკვრის პირად, ეგზარხოსის, ბ-ნ ერიცოვის სახლის და ანჩისხატის ეკკლესიის ქვემოდამ, დღე-მუდამ, უფრო კვირა-უქმობით, თავს იყრის ტფილისში უქმად მოსიარულე, მოწანწალე კინტო-ჯიბგირები: ჰყვირიან, კიქინობენ, გამვლელ-გამომვლელთ არ ასვენებენ; გადადიან ეზოებში და შინაურულად დაიარებიან. ამათი სითამამე იქამდინ მიდის, რომ სახლებში შედიან თურმე და იპარავენ, რაც კი ხელს მოხვდებათ.

⁂ სოფ. ველის-ციხიდამ სოფლის მოხელის უწესო საქციელზე აი რასა

ფელეტონი

ცოდვა სიყვარულისა

(Crim d'amour)

პოლ ბურჟეს რომანი

(შემდეგი*)

ახალ-გაზდა ბარონი და ქ-ბ-ნი შაზელი მარტო დარჩნენ. რამდენსამე წუთს ჩუმად იყვნენ და არც-კი განძრეულან, ისევე დარჩნენ, როგორც ალფრედმა დასტოვა. ქალი იდგა და არმანს შესცქეროდა. არმანი ციგარის ბოლში იყო გახვეული და ამ ბოლიდამ ღიმილით შესცქეროდა ქალს. ქალს ოდნავ განეპო თავისი ჰიაფერი ტუჩები და ისუნთქავდა ამ ცოტა არ იყოს მწარე ბოლსა. ფანჯრებიდამ შემოისმა ეტლის რახრახი. ამ ეტლით შაზელი წავიდა. ელენე წყნარად მივიდა საპარძელთან, სადაც არმანი იჯდა; კეკლუცად წაართვა ხელიდამ სიგარა და ბუხარში შეაგდო; მერე დაიჩოქა ახალ-გაზდა კაცის წინ, შემოეჭდო ხელებით მის ყელს, და თითქო იმისი ტუჩები უნდა იპოვნოსო, გიჟურად გადაჰკოცნა. ამით ქალს უნდოდა, რომ იმ წამსვე განქარწყლებულიყო, თუ უსიამოვნობა აგრძნობინა საყვარელს კაცს ქმრის კოცნამა. ამდენის ლოდინითა და თმენით შეგუბებულმა გრძნობამ ეხლა უცებ იფეთქა, სუბუქ ფრთით გაიტაცა ქალიელენე მხიარულა და სთქვა:

— გამარჯობა, არმან,—გიყვარვარ თუ არა დღესა? შენა, შენ-კი გიყვარვარ? ჩაჰკითხავდა ყმაწვილი კაცი და ეალერსებოდა ახალ-გაზდა ქალის ლოყას. ქალს ძირს დაეწვია იატაკზე, თავი სატრფოს მუხლებზე დაედო და ისე შესცქეროდა ალტაცებით სავსე...

— თავი ნუ მოგწონს! მე რაღა უნდა გითხრა; შენც კარგად იცი ეგა.

— დიაღ; ვიცი... გიყვარვარ... ძალიან... თუმცა არც ისე ძალიან, რომ შუა გზაზე აღარ შესდგე... ისეთი კილოთი სთქვა ეს წინადადება, რომ დაცინვა გამოდიოდა, დაცინვაზე კიდევ მეტი. ამითი ყმაწვილმა კაცმა სიტყვა გადუკრა კიდევ იმ სამდურავზე, რომელიც არა ერთხელ და ორჯერ გამოეთქვა მისთვის. ელენემ ამ დაცინვის სიტყვებს იმ ქალის ღიმილით დახედა, რომელსაც პასუხი მზად აქვს ამ შემთხვევისათვის.

— გეტყობა, მაგ უნდობლობას თავს აღარ დაანებებ, უპასუხა ქალმა, და თუმცა თვალებზე ცხადად ემჩნეოდა, რომ ბედნიერი იყო; მაგრამ დარდმა და მწუხარებამ გაიელვა ამ თვალებში, როცა ქალმა დაასრულა თავისი სიტყვა: მაშ შენ არა გჯერა, არ ენდობი ჩემს გრძნობას, თუ არ ეგ უკანასკნელი დამტკიცება?

— დამტკიცება?—სთქვა არმანმა, შენ ამას დამტკიცებას ეძახი! როცა შენ თავს სხვას აკუთვნებ; ეგ დამტკიცება-კი არ არის სიყვარულისა, ეგ თვით სიყვარულია. მართალია,—განაგრძო ყმაწვილმა და ცოტა არ იყოს მოიღრუბლა სახე,—ვიდრე სრულიად ჩემი საკუთარი არ შეიქმნები, მე ეჭვს ვერ განვიშორებ. იმის ეჭვს კი არა, ვითომ შენ გულ-წრფელი არა ხარ... მე მჯერა, რომ შენ გგონია, ვითომ გიყვარვარ. არა მე ეჭვი მექმნება, რომ შენი სიყვარული ნამდვილი სიყვარულია. ხშირად გვგონია, რომ ესა და ეს გრძნობა გვაქვს გულშიო და ნამდვილად კი ის გრძნობა არ არსებობს. ო, განა რომ გიყვარდე, როგორც ამბობ და როგორც გგონია, იფიქრებდი და ეგრეღა მოიქცეოდი კიდევ, რომ არც ჰო გინდა სთქვა და არც არა? განა უარს-ღა მეტყოდი, და ისიც ოცჯერ მეტად, რომ იქ ვერ გნახავ მარტოდ, სადაც შენ გინდაო?.. აქამდე დასთანხმდებოდი, როგორც შენის, ისე ჩემის გულისათვისაც...

— არმან... დაიწყო ქალმა და ისევ გაჩუმდა და გაწითლდა. ქალი წამოდგა და ბოლთის ცემა დაიწყო ოთახში. ყმაწვილისთვის აღარ შეუხედნია. მას უკან, რაც სიყვარული გულს ჩაუვარდა და განუცხადა კიდეც დე-კერნს, კარგად იცოდა, რომ მოვიდოდა დრო, როცა უნდა გამოსთხოვებოდა თავის მშვენიერს ოცნებას—ისე ჰყვარებოდა ვითომ ეს კაცი, რომ სიყვარული თუმცა აღკრძალული, მაგრამ ყოვლად წმინდა და უბიწო-კი ყოფილიყო. დიაღ, იცოდა, რომ რა-კი გული მისცა, თვითონაც სრულიად უნდა მისცემოდა და საყვარელი გამხდარიყო იმისი, ვისაც ნება დართო და ვინც უთხრა: „მიყვარხარო“. იცოდა ესა და იმდენს ძალას იკრეფავდა მაინც კიდევა, რომ წინაამდეგობას უწევდა, — უნდა ვსთქვათ, დღევანდელ დღემდე,---და არა ნებდებოდა. კეკლუცობითა და განაზებით არ მოსდიოდა ესა. იქნება არც ერთი ქალი არ იყოს ისეთი, რომ იმან უფრო მეტად არ შეიძლოს და განგებ არ დასწევს კაცი, თავის სასარგებლოდ არ გამოიყენოს ის გარემოება, როცა სურვილ დაუკმაყოფილებელის ვაჟ-კაცის გულის-თქმა ისეთის ძლიერებით მოუსვენრობს და აბეზარობს. არა, ეს არ იყო მიზეზი. მიზეზი ის იყო, რომ ქალს ღრმადა ჰქონდა გულში დამარხული გრძნობა მოვალეობისა. რომელს ქმრიანს ქალს არ უტყუვებია ტკბილად თავისი თავი და არ უფიქრია, რომ ვითომ შეიძლება ერთად მოთავსდეს სხვისა სიყვარული და ქმრისთვის მიცემული აღთქმა ერთგულის ცოლობისა. ჯერ ჰგონია, რომ რა-კი უარს ვამბობ სრულის სიყვარულის სიტკბოებაზე— ეს საკმაოა ჩემის შეცოდების გამოსასყიდლადაო. როცა ასეთის სიყვარულის გზაზე შესდგება, ჰფიქრობს, რომ ამა-და-ამ საზღვარს არას გზით არ გადაველახავ და არ გადაველო, და მართლაც ცოტად თუ ბევრად დიდ-ხანს იკავებს თავს. ეს უფრო იმაზეა დამოკიდებული, თუ რა ხასიათისაა მისგან შეყვარებული კაცი. მაგრამ შეუბრალებელი ლოგიკა, მმართველი და გამგებელი ცხოვრებისა, მალე გამოაცხადებს ხოლმე, რომ მე ვარ აქ ბატონიო. სული და ხორცი განუყოფელია და სიყვარულს თავისის თავის გარდა, სხვა არა კანონი არა სწამს რა. დიაღ, საშინელმა, აუცი-

---

*) იხ. „ივერია“ № 175

გვწერენ: ამ დღეებში დედა-კაცებს ჩხუბი მოსვლიათ; ერთმა მათგანმა მოხელესთან იჩივლაო. მოხელემ გაგზავნა გზირი მეორე დედა-კაცის მოსაყვანად. ქალი არ გაჰყვა, რადგანაც მოხელე კანცელარიაში კი არ იბარებდა, არამედ «ბაზარში», სადაც იმას მუდამ ბინა აქვსო. მეორედ გაგზავნა გზირი და უთხრა: თუ ნებით არ გამოგყვეს, ძალით წამოათრიეო. საბრალო ქალი მძიმედ ყოფილა და არ გაჰყოლია მეორედაც. გზირს მოხელის ბრძანება აუსრულებია: უტაცნია ხელი და ძალით ჰნდომებია ქალის წაყვანა „ბაზარში“. ქალი გაძალიანებია, არ გაჰყოლია, რადგანაც ეთაკილებოდა ფეხ-მძიმეობის დროს უბრალოდ სიარულიო. გზირმა აღარ მიჰხედა თურმე დედა-კაცის ამ გვარს ყოფასა და შეუბრალებლად დაუწყო ცემა ჯერ ხელებით და მერე წიხლით. დედა-კაცი რამდენიმე დღის შემდეგ გარდაიცვალაო.

⁂ გუშინ ტოლეს მაღაზიის გვერდით (სოლოლაკის ქუჩაზედ) საშინელი ყვირილის ხმა მოისმოდა. ერთი წამის შემდეგ გრიქუროვის სარძევე დუქნიდგან ამოვიდა ერთი მცირე წლოვანი იმერელი, რომელსაც თავი დაჩეჩქვილი ჰქონდა და სისხლი შადრევანივით გადმოთქრიალებდა. ბიჭმა დაიყვირა: „ვაიმე, მამკლა, ვინა ხართ ქრისტიანი, მიშველეთო! და იქვე ქუჩაზე წაიქცა; ხალხი შეგროვდა, ჰკითხულობდნენ დამნაშავეს. ამ დროს ამავე დუქნიდგან გამოვარდა სამი კაცი, დაავლეს ცოცხალ მკვდარს ბიჭს ხელი, შეარბევინეს ეზოში და აქედამ მიათრევდენ სარდაფში. რამდენიმე უცხო კაცი გადაეღობა წინ და ჰკითხეს: სად მიათრევთ ცოცხალ-მკვდარ ბაშვსაო?

— ვა, რა თქვენი საქმეა; გრიქუროვი ამის აღა არის,—რაც უნდა, იმას უზამსო. ამას რომ სტოლი დაჰკრა თავში და გატყდაო, ის კი არაფერიო?“

ხალხმა წაჰგლიჯა ხელიდგან ბაშვი და პოლიციელს გაატანა „მეოთხე განყოფილებაში“, რათა პოლიციას გაეწია ქომაგობა ამ საცოდავის მსხვერპლისათვის.

⁂ ამ ჟამად გზათა სამინისტროში არჩევენ პროექტს ტყიბულის რკინის გზის შტოს გაყვანისას სოფ. ტყიბულამდე სდინარე საბელასუვის-ჩალეს აყოლებაზეო, რადგანაც ამ სოფელს ახლო კიდევ მრავლად აღმოჩნდა ქვა-ნახშირის მადნებიო.

⁂ ამიერ კავკასიის რკინის გზის ინჟინერები ამ ჟამად იმის გამოძიებაში არიან თუ რა გზით გაიყვანონ რკინის გზის შტო ყვირილიდამ ჭიათურამდეო.

⁂ სეკრეტარი სინოდალურის კანტორისა, ბ-ნი სიმონოვი, რომელიც 19 წელიწადი თურმე მსახურობდა ამ თანამდებობაში, დასთხოვნია სამსახურიდამ ავად-მყოფობისა გამოვო.

⁂ ჩვენს გაზეთში იყო მოხსენებული, რომ ერთმა კაცმა გოლოვინის პროსპექტზე, აკოფოვის დუქნის წინ „ბუტკაში“ ზელცერის წყალი დალია და ამ წყალმა აწყინაო. 11 აგვისტოს ექიმს რუდკოვსკის გაუსინჯავს აკოფოვის მადნის წყლების ქარხანა და აღმოჩენილა, რომ ყველა ამ წყლის საკეთებელი იარაღები და თვით მომზადებული წყლებიც ძალიან სუფთად ინახებაო. ამაზედ განაჩენი იქმნა შედგენილი, აკოფოვის ქარხნიდგან აურჩევიათ ათი ბოთლი წყალი სხვა-და-სხვა დროს მომზადებული, დაუბეჭდიათ და განაჩენთან ერთად წარუდგენიათ ტფილისის სამკურნალო რჩევაში გასასინჯავად და გამოსაკვლევად.

⁂ «მწყემსი» ამბობს, რომ შორაპნის მაზრაში მოვიდა ახალი ექიმიო, რომელიც პირობითა სწამლობს ავადმყოფებს და ნახევარს ფულს ექიმობაში წინ და წინვე ართმევსო. ეხლა ნამდვილად შევიტყვეთ, რომ ეს კაცი რუსიაო, ნაფიცარალი და ექიმობისა სრულიად არაფერი არ იცისო.

⁂ «ტიფ. ფურც.» გაუგია, რომ სექტემბრის თთვიდამ გაიხსნება ყველა სკოლები სომხებისაო.

⁂ ორშაბათს, 11 აგვისტოს, საღამოს 4 საათზედ ინჟენერ-გენერალი ბარონი ა. ი. დელვიგი წასულა ავჭალაში წყლის-გამოსაყვან მომართულობის სანახავად. ბარონს თან გაჰყოლია ქალაქის ინჟენერი ბ-ნი კონრადი. წყლის გამყვანთ უჩვენებიათ ბარონისთვის ყველა თავიანთი ნამუშევარი და პროექტიც გაუსინჯვინებიათ. ბარონს ძალიან მოსწონებია პროექტი. („კავკაზი“)

⁂ ამავე გაზეთსა სწერენ ბათუმიდამ, რომ მას შემდეგ რაც პორტო-ფრანკო დაიხურა, ჩვენი ვაჭრობა თან-და-თან მისუსტდაო. ასე, რომ ზოგიერთმა ვაჭრებმა განიძრახეს, დუქნები აშალონ აქა და სხვაგან გადავიდნენო. ზოგიერთნი ტფილისისკენაც აპირებენ წამოსვლასაო. ამ ჟამად ბათუმში ყოფილა თავს-მჯდომარე საიმპერატორო მოსკოვის არხეოლოგიურის საზოგადოებისა გრაფინია პ. ს. უვაროვისა თავის ოჯახობით და ჩვენში კარგად ცნობილი ტაინი სოვეტნიკი მ. ნ. გარსევანოვი. ამ თთვის 12 რიცხვს ბათუმში მოელიან სამხედრო მინისტრსაო.

⁂ 12 აგვისტოს, დილის 5 საათზედ, ახალ ვერის ხიდთან მიდიოდა თურმე ერთი დურგალი, № 173 ფარნის ბოძთან სამი უცნობი კაცი დასცემია, ვერცხლის ქამარ-საათი აუგლეჯიათ და გაქცეულან. („ნოვ. ობოზ“.)

⁂ 10 აგვისტოს, საღამოზედ, ტფილისის სობრანიის საზაფხულო სადგომში, ამ კლუბის წევრი ბ-ნი ა. მისულა ბ-ნ ს—სთან, დაუყვირნია: რად ავრცელებ ჩემზე სხვა-და-სხვა ჭორებს მთელს ქალაქშიო და ისე მაგრად შემოუკრავს სილა, რომ დედა-მიწაზე დაუცია. («ნოვ. ობოზ.»)

ნაკვესი

ერთმა აკაკისაგან ათვალწუნებულმა ახალ-გაზდა კაცმა საყმაწვილო წიგნების ბეჭდვას მიჰყო ხელი.

— აი ეს მომწონს! საყმაწვილო წიგნი ბაშვმა უნდა გამოსცესო, სთქვა შეუბრალებელმა აკაკიმ.

ლელო

დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

სოფ. წევა, მარიამობისთვის 2-სა. წევაში სთესვენ უმეტეს ნაწილად სიმინდსა და პურსა, მაგრამ მომეტებული ყურადღება გლეხებისა მიპყრობილია ვაზის კეთებაზე, რომელიც შეადგენს მათის ცხოვრების უმთავრეს საგანს. აქ სამას კომლამდე გლეხი სცხოვრებს.

შუაგულ სოფელში, ეკკლესიის მახლობლად, არის პატარა ბაზარი; ბაზარში სულ ათი-თორმეტი დუქანია; წინად კი დიდი ყოფილა და თითქმის მთელს შორაპნის მაზრაში პირველი ადგილი სჭერია. აქ მაშინ ვაჭრობდნენ თურმე სომხები და ურიები, ეხლა კი ერთსაც ველარ ნახავთ იმათ. აქაური ვაჭრები უმეტეს ნაწილად მოსკოვში და სტამბოლში დადიოდნენ სავაჭროდ. ამ ყოფაში იყო ეს დაბა რკინის გზის გაყვანამდინ. როდესაც რკინის გზა გაიყვანეს და რკინის გზის სადგური ააშორეს წევას, მას შემდეგ წევა დაეცა. ვაჭრები დაბა ყვირილაში წავიდნენ, რომელიც ცხრა-ათი ვერსის სიშორეზეა აქედამ, და იქ დაიწყეს ვაჭრობა. ქვითკირის დუქნები უქმად დარჩნენ.

ხალხი ამბობს: როდესაც რკინის გზა გაჰყვანდათ მაშინ გზის სადგურს წევაში აკეთებდნენო, მაგრამ ინჟინერმა თურმე კომლზე თითო და ვაჰარზე ორ-ორი მანეთი ფული ითხოვაო და დაჰპირდა, რომ რკინის გზის სადგურს აქ გავაკეთებთო. ხალხმა მამასახლისის ჩაგონებით უარი განუცხადა ინჟინერს და სადგური ააცილესო. როდესაც ხალხი მიხვდა რკინის გზის სარგებლობას, ბევრი ინანა და სთხოვა რკინის გზის მმართველობას: სადგური გამართეთ ჩვენშიო. როგორც გავიგეთ, წეველების თხოვნა სახეში მიუღიათო.

1868 წლიდამ აქ არსებობს საეკკლესიო სკოლა, რომელსაც დიდი ღვაწლი მიუძღვის ჩვენის ხალხის წინაშე. ამ სკოლის საქმე პირველად წარმატებაში მიდიოდა, წინად ოთხმოციდამ ასამდე შეგირდი იყო ამ სკოლაში.

ეს იმის ბრალია, რომ ეკკლესიას თვისის სკოლისთვის საკუთარი სახლი არა ჰქონდა და უხეირო სადგომს ჰქირაობდნენ ხოლმე; მაგრამ ეხლა, სასიხარულოდ ჩვენდა, სკოლის ბედი ისევ წაღმა დატრიალდა. ეხლა ეკკლესია თვით აშენებს თავის ხარჯზე ორ-სართულიანს სახლს სკოლისათვის; მასალას კიდეც ეზიდებიან. სკოლა იქნება ორ-კლასიანი; სწავლას გაივლიან პროგრამმით, რომელსაც გადიან სას. სასწავლებლის მოსამზადებელს კლასებში.

აქაური ეკკლესია, ხალხის გარდმოცემით, აშენებულია თამარ მეფის დროს. ხალხი ამბობს: „როდესაც აქ თამარ მეფე მობძანებულა, თან ბევრი ქალები ჰხლებიან, თვითოეულს ქალს ლეჩაქის ყურში ჰქონდა გამოკრული ცოტ-ცოტა კირიო და ამ კირით აშენდა ეს ეკკლესიაო.“ ეკკლესია წინად პატარა ყოფილა, მაგრამ შემდეგში ამ ეკკლესიისათვის მიუდგამთ ახალი შენობა. ძველი ეკკლესიის ნახევარი საკურთხევლად დაუტოვებიათ. ეს ნახევარი მშვენიერის, ძველის მხატვრობით არის შემკული. აქ ერთი ძველი ხელთ-ნაწერი წიგნია, სახელდობრ: „ეფუთი“. წიგნი მეცამეტე საუკუნის დასაწყისშია დაწერილი.

ეკკლესია სდგას მაღლობს ადგილზე და მას ირგვლივ მცხოვრებლები არტყია. აქვე არის სასაფლაო. წეველმა მღვდელმა ბევრჯელ გამოუც-

---

ლებელმა ჟამმა დაჰკრა ელენესათვის. ქალი ჰგრძნობდა ამას. რამდენჯერ მოხდა ამ გვარი ლაპარაკი ორის კვირის განმავლობაში არმანსა და ელენეს შუა და ყოველთვის არმანი დამტკიცებას ითხოვდა სიყვარულისასა. ქალს ესმოდა, რომ ყოველთვის ამ გვარის ლაპარაკის შემდეგ, ბევრსა ვკარგავ არმანის თვალშიო. ამ გვარი სცენები თუ კიდევ განმეორდა, ის კაცი სრულიად დაჰკარგავს ჩემს პატივის-ცემასა და აღარც-კი დაიჯერებს ჩემს გულ-წრფელს სიყვარულსაო. ეს სიყვარული-კი უსამზღვრო იყო, ფიქრისა და გამორჩევისათვის ხელ-მოკლე და ულონო, იმიტომ, რომ ქალს ისე უყვარდა ყმაწვილი, როგორც კი შეუძლიანთ სიყვარული დედა-კაცებსა. ქალი სწორედ რომ მოხიბლულივითა და მოჯადოებულივით იყო სიყვარულისაგან; იმის სიყვარული კი სულ ის უძლეველი სურვილი იყო, რომ იქნება ბედნიერება მივანიჭო ჩემგან შეყვარებულ კაცსაო. ქალს უყვარდა კაცი და უყვარდა თვით თავისი სიყვარულიცა ამ კაცისადმი მიმართული. იმის საყვარელ თვალებში გამოხატული მწუხარება აუტანელი იყო ქალისათვის, აუტანელი იყო ისიც, რომ ის კაცი არ ერწმუნებოდა ქალის ფიცსა. ყოველსავე ამაში ანგარიში მისცა თავის თავს ქალმა; გაბედვით შეხედა პირის-პირ აუცილებელს შეცოდებასა და გადასწყვიტა, მე თვით ვეტყვი ჩემს „სატრფოს“ (წერილებში და თავის გულში ასე ეძახდა არმანს. სიტყვა «მეგობარი» მეტად ცივი სიტყვააო, სიტყვა «საყვარელი» კი სირცხვილის ცეცხლს უკიდებდა იმის გულს.) დიაღ, თვით მევე ვეტყვი, რომ მზადა ვარ შევისრულო-მეთქი ის, რასაც ითხოვ ჩემგან, როგორც უმაღლესს დასამტკიცებელს საბუთს ჩემის სიყვარულისასო. და აი როცა დრო მოვიდა, ის იყო უნდა ეთქვა ეს ყოველივე, ველარ გაჰბედა, უმტყუნა ხასიათმა... ოხ, რატომ თავისუფალი არა ვარო, რადა ვარ შებორკილებული დედის მოვალეობითაო. მისი პატარა შვილი იყო ერთად-ერთი არსება, რომლის შეწირვა საყვარელის კაცისათვის თავს ვერ იდვა ქალმა... ასე რომ არა ყოფილიყო, მაშინ საიდუმლოდ შეხვედრას კი არ მოინდომებდა მარტო, ეტყოდა, ერთად გავიქცეთო და მთელს თავის სიცოცხლეს ამ კაცის ბედნიერებას შესწირავდა. ყველა ეს აზრები ირეოდნენ საწყალის ქალის თავში, როცა ოთახში ბოლთასა სცემდა. ქალმა კვლავ შეჰხედა თავის მეგობარს და მოეჩვენა, რომ ის სახე, რომელსაც აღმერთებდა, სევდით იყო მოცული...

— არმან,—უთხრა ქალმა,—ნუ ხარ მოწყენილი. მე ყველაფერს შეგისრულებ, რაცა გსურს. ეს სიტყვები ისეთის ხმით იყო წარმოთქმული, თითქო გულის სიღრმიდამ მოსწყვიტა მთქმელმაო. მაგრამ ამის გამგონი ყმაწვილი კაცი ასრეთმა სიტყვებმა უფრო გააკვირვა, ვიდრე განუღვიძა სიხარული. ყმაწვილი ჩააკვირდა ქალს თავის უცნაურის თვალებითა. ამ საწყალს დედა-კაცს რომ შესძლებოდა თვალ-ყური მიედევნებინა კაცისათვის, იმის თვალებში სიხარულსა და აღტაცებას ვერ შენიშნავდა იმის გამო, რაც უთხრა. იმისი თვალები იმავე ყველაფრის ათვალწუნებისა და ცნობის-მოყვარეობის გამომთქმელი იყო ეხლაცა, როგორც მაშინ, როცა ეს თვალები შესცქეროდა სცენას ალფრედისა და მის ცოლს შუა. ხოლო ელენე ისე შეკრთა და შეძრწუნდა იმის მიზეზით, რაცა სთქვა, რომ გულ-გრილად და დალაგებით აღარ შეეძლო ყური ეგდო-და რისთვისმე. მერე, როცა ელენემ არმანის ფეხებთან მოიკეცა და ჩაეკრა გულში ახალგაზდა კაცს, სხვა გვარი სახე გაუხდა, იმის სახეზედ გამოიხატა გრძნობა თავ-დავიწყებისა ვნებათა და გულისთქმისაგან. ყმაწვილი კაცი ჰგრძნობდა თავის ახლოს იმ მოქნილის ტანის სილამაზეს, ჰხვევდა ხელებს მის მშვენიერს მხრებს, რომლებიც ბალში ენახა. ჰკოცნიდა იმის თვალებს და თან ჰგრძნობდა, რომ მათი ქუთუთოები და წამწმები ფეთქავდნენ და ფანთხალობდნენ იმის ტუჩებ ქვეშ...

— ბედნიერი მაინც იქნები?—ჰკითხა ქალმა ცოტა არ იყოს სევდიანად.—

— ეგ რა საკითხავია! სჩანს მაშ, შენ არა დაგიხედნია შენის თავისათვის? სთქვა ესა არმანმა და დაუწყო ქება „წარბთა და წამწამთა“ და მის სილამაზეს. შენ არას დროს არ გინახავს მაშ შენი თვალები? და ყმაწვილმა კაცმა ხელ-მეორედ გადაჰკოცნა; არ გინახავს შენი ვარდის ფერი ლოყა? და კაცმა დაუწყო ხელით ალერსი ამ ლოყას; არ გინახავს შენი ბუმბულივით რბილი თმა,—და ყმაწვილი ხარბად ისუნთქავდა ამ თმის სურნელებას, თითქო ყვავილის სურნელება იყოსო; არ გინახავს შენი კოხტა ტუჩები?—და არმანი თავის ტუჩებს იმის ტუჩებს აწებებდა. რა უნდა ეთქვა ქალს პასუხად, როცა მის სილამაზეს ასე ეთაყვანებოდნენ? ქალი ნეტარების ღიმილით მისცემოდა ალერსსა და რასაც ეუბნებოდნენ, მუსიკასავით ჩაესმოდა. ეს ამბავი პირველად არ მოხდა, მაგრამ თუმცა ძალიან ცხელად და მწვავედ იკოცნებოდა არმანი და ქალი ულონოდ-ქმნილი ველარას ახერხებდა,—მაინც ყოველთვის იმდენს ძალას კიდევ გამოიჩენდა ხოლმე, რომ უფრო გაბედულის ალერსის ნება არ მიეცა ყმაწვილის კაცისათვის. არა, არას დროს, არას დროს არ დათანხმდებოდა, თუნდა არავითარი შიშიც არა ყოფილიყო, რომ სიყვარულის ცოდვას მისცემოდა აქ, ამ პატარა სასტუმრო ოთახში, სადაც სურათები დედისა, ქმრისა, შვილისა მოაგონებდა ყოველსავე იმას, რაც მაინც-და-მაინც მზად იყო არმანისათვის ემსხვერპლნა!.. აგრეთვე ამ ჟამადაც—იმ წუთსვე, რა წუთსაც ქალმა სხვა ნაირი სახე შენიშნა, ის სახე, რომლისაც ძალიან ეშინოდა, იმდენი მამაცობა და ვაჟ-კაცობა გამოიჩინა, რომ გამოუსხლტა ხელიდამ და სხვა სავარძელში ჩაჯდა. ქალს ხელები უკანკალებდა. კანკალით აიღო მარაო, გაშალა, მერე ისევ დაკეცა და სთქვა:

— მე ხვალ ვიქმნები შენი, თუ გსურს?

გრ. ყიფშიძე

(შემდეგი იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხადა ხალხს, რომ სასაფლაო სხვა ადგილას გადაიტანეთ, მაგრამ ხალხმა არა ჰქნა. ზოგი გაიძახოდა: ‹მე ეკკლესია იმიტომ მინდა, რომ იქ უნდა დავიმარხოთ, ტყეში რად ჩავიმარხებით!› მღვდელს უთხრეს: თქვენ იხსენიებთ: „ვილოცოთ აქა მდებარეთათვის“ და არა „ტყეში მდებარეთათვისაო.“ ზოგი იძახოდა: „ჩემი მკვდრები ამოიღეთ, მომეცით და მერმე თქვენი აღარა მინდა-რაო.“

თუმცა წვევის ეკკლესია აშენებულია წმიდა გიორგის სახელობაზე, მაგრამ დღესასწაულად დადებული აქვთ ‹კვირიკობა› 15 ივლისს (წმ. კვირიკეს დღ.). კვირიკობა დღეს წვევაში გაიმართება ხოლმე ბაზრობა, რომელიც გასტანს ხოლმე თითქმის ერთ კვირას; ბაზრობის დროს მოდიან სხვა-და-სხვა ვაჭრები ფარჩეულობის გამსყიდველნი ურიები, ხარაზი, მექუდე, თერძი, მიკიტანი, მეთევზე, მეხანჯლე და სხვა. მორეკენ ხოლმე თხა-ცხვარს და სხვა საქონელს. ვაჭრები მოდიან ტფილისიდამ, გორიდამ, სურამიდამ, ზესტაფონიდამ (ყვირილიდამ), ქუთაისიდამ, ბათუმიდამ და სხვა პატარა დაბებიდამ და მაზრებიდამ ხომ სათვალავი აღარა აქვს. ბაზრობა უფრო გაჩაღდა შავი-ქვის მადნების აღმოჩენის შემდეგ. შავმა ქვამ დიდ-ძალი ფული დაატრიალა ხალხში. ჩვენის სოფლის მახლობლად არის შავი-ქვის საწყობები. ხალხმა იმდენი ქვა ჩამოზიდა სადღესასწაულოდ, რომ საწყობები გაავსო; რაც ფული აიღეს, იმითი ბაზრობის დროს ივაჭრეს. აქვე მოაქვთ სხვა სოფლებიდამ თავიანთი ნაწარმოები გასასყიდლად: აბრეშუმის ძაფი, საჩოხე შალი, ჩინურისა და უბრალო თიხის ჭურჭელი და სხვა.

იარმუკობისათვის ხალხი აკეთებს ხოლმე კარვებს. თითო კარავი, ადგილის მიხედვით, ქირავდება ხოლმე 1—10 მანათამდე; წელს კი ვაჭრების სიმრავლისა გამო თითო კარავის ქირა 20 მანათამდე ავიდა. ამ აღებულის ფულიდამ მანეთზედ აბაზი ეკკლესიისაა.

წელს უბრალო ხალხიც ბლომად იყო და ჩხუბსა და ყიჟინას ახედვა აღარა ჰქონდა. ქურდობაც ხშირი აყო. დ. ყვირილიდამ ყოველ ამ დროს მოდის ხოლმე აქ პოლიცია. წელსაც, რასაკვირველია, მოვიდა პრისტავი სამის ჩაფრითა, მაგრამ ოთხი კაცი ამდენ ხალხს, ამდენს ჩხუბებს და აყალ-მაყალს როგორ გაუძლებს. უმჯობესი იქმნება, ცოტა მეტი ჩაფრები ჰყავდეს ხოლმე პრისტავსა, რომ გახდეს რასმეს.

ქ. მაღრაძე

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

ერთი ბელგიელი საყოველ-კვირაო გაზეთი „Nord“-ი ყურადღებას აქცევს იმპერატორების თავის მოყრას გასტეინში და ამბობს:

> სამთა იმპერატორთა შორის დღეს უფრო მტკიცე მეგობრობა და თანხმობაა, ვიდრე როდისმე ყოფილა. სამივე იმპერატორის მთავრობას ერთი და იგივე სურვილი აქვთ: რუსეთს ისევე უნდა მშვიდობიანობის დაცვა, როგორც გერმანიასა და ავსტრიასაო. რუსეთს კარგად ესმის, რომ ომის გამოწვევა ეხლა ევროპაში დანაშაულობა იქნება მთელის კაცობრიობის წინაშე, და რუსეთი არც იზამს ამასა და საჭიროებაც არ მოითხოვსო; რუსეთს კარგად ესმის, რომ ეს ომი, თუნდ რუსეთი გამარჯვებულიც დარჩეს, დიდს ხანს შეაყენებს რუსეთის ერის წინ მსვლელობას და შეარყევს მის კეთილ-დღეობასაო.

⁂

როგორც დეპეშებიდამ ვიცით, რუსეთმა ჩინეთის ახლო დაიჭირა „ლაზარევის ნავთ-სადგური“ და ამავე დროს საფრანგეთი ცდილობს ჰებრიდის კუნძულები ხელში ჩაიგდოს. ინგლისს, როგორც ეტყობა, არც ერთი და არც მეორე არ მოსწონს.

> ევროპის ორი სახელმწიფო, როგორც სჩანსო, ამბობს გაზეთი „Morning Post“-ი, კარგად მოლაპარაკებულან ერთმანერთში და თავიანთი საქმე კარგად მიჰყავთო. რუსეთი „ლაზარევის ნავთ-სადგურის“ დაჩემებით დიდს ზარალს აძლევს და კბილსა ჰკიდებს ჩინეთის სახელმწიფოს, რომელსაც ჯერ ის იარაც ვერ გაუმთელებია, რომ საფრანგეთმა ტონკინში იმოდენა უსიამოვნება მიაყენა. შეერთებული პოლიტიკა რუსეთისა და საფრანგეთისა, ცხადადა სჩანს, ინგლისისა და ჩინეთის წინააღმდეგ არის მიმართულიო.

თუ რუსის დიპლომატია ჩვენზე მიუთითებსო, განაგრძობს იგივე გაზეთი, რომ ინგლისმაც „ჰამილტონის ნავთ-სადგური“ დაიჭიროო, ჩვენ ასეთს პასუხს ვაგებთო:

> ჩვენ გვიჭირავს „ჰამილტონის ნავთ-სადგური“ როგორც ჩინეთის მომხრეთა და მეგობრებსა, რუსეთის მეზობლობა კი და „ლაზარევის ნავთ-სადგურის“ დაჭერა საშიშია ჩინეთის სახელმწიფოსათვისაო.

ვნახოთ, დაიჯერებს ვინმე ‹ცბიერ ინგლისის› სიტყვებს, თუ არა?..

⁂

იმ შემაძრწუნებელმა უბედურებამ, რომელიც ხომალდს „Терличкъ“-ზე მოხდა, 16 კაცს უდროვოდ მოუსპო სიცოცხლე. ამ ამბავს სამართლიანი გულის-წყრომა გამოუწვევია ციმბირში და გაზეთი ‹Сибирская Газета› აღელვებულის გრძნობით და ცხარე სიტყვით მიჰმართავს იმათ, ვისაც ფული ღმერთად გაუხდია და კაცის სიცოცხლე ჩალადაც აღარ მიაჩნია:

> ცხოვრების სისაძაგლეს, მუდმივ და განუწყვეტელს ზრუნვას, რომ როგორც და რითაც შეიძლება, ბლომად სიმდიდრე მოვხვეჭოთ, ისე გაუქვავებია ჩვენთვის გული, ისე დაუხშვია ჩვენთვის გრძნობა, რომ თვით საზარელი სანახავიც კი აღარ მოქმედობს ჩვენზედა. სადამდინ მიგვიყვანს ასეთი კერპთ თაყვანის-მცემლობა, ასეთი შემაძრწუნებელი შეგნება, ფეხ-ქვეშ გაქელვა კაცის ღირსების საუნჯისა, ასეთი შეურაცხყოფა კაცის ბუნებისა, მერე რის გულისთვის? იმის გულისთვის, რომ მეტი მანეთი ჯიბეში ჩაიდონ.

ოქროს თაყვანის-მცემელთ ისე აქვთ ყურები დაცმული, რომ ვერც ამ გვარის ცხარე სიტყვებით შეასმენთ რასმე.

რუსეთი

— ირკუტსკში ძალიან გახშირებულა ქურდობა. ორ დღეში 23-სა და 24 ივნისს რამდენიმე სახლი გაუქურდავთ. მაგალითებრ: 23 ივნისს გლეხის ტარასოვისთვის მოუპარავთ ფული და ბანკის ბილეთები 17,000 მანათისა. ერთის სახლიდგან სამკურნალო იარაღები 200 მანათისა მოუპარავთ, მეორეში—საკერავი მაშინა; დაუჭერიათ ვიღაცა დედა-კაცი, რომელიც ყმაწვილებს თურმე ყელიდგან ჯვარსა, საყურეებსა და სხ. ხსნიდა. იქაურ ბატალიონისათვის მოუპარავთ 12,000 არშინი ტილო და 200 არშინი მაუდი. უმეტესი ნაწილი ამ ნაპარავისა სასტუმრო ‹ტფილისის› პატრონთან უპოვნიათ და დაუტუსაღებიათ.

— 5 აგვისტოს პეტერბურგში გაურჩევიათ სამის ავაზაკის საქმე. ესენი არიან: ალექსანდრე ბაქულინი, გრიგორი ლაპინი და ვასილი ტიმოფეევი. ამათ ჰბრალდებოდათ, რომ ხალხსა სცარცვავდნენ თურმე ერთ-გვარის დასაძინებელის წამლის საშუალებით. შეიტყუებდნენ ვისმე რომელსამე სასტუმროში, დაჰპატიჟებდნენ, წამალს შეაპარავდნენ და გაცარცვავდნენ. მოწმად ორნი ყოფილან: ვიღაც კონსტანტინე ვორონინი და ცუდის ყოფა-ქცევის ქალი კუდრიავცევისა. კუდრიავცევისა ვახშამზედ დაუპატიჟნიათ, უჭმევიათ წამალ-შერეული საჭმელი და შემდეგ ფაეტონით სადღაც წაუყვანიათ. იქნობამდე კი გონება არ დამიკარგავს, ვიდრე ფაეტონში ჩამსვესო და მერე კი აღარ მახსოვს, რა მოხდაო. ეს ქალი პოლიციელს ენახა ნიკოლაევის ხიდზედ გულ-წასული და მეორე დღემდის ძლივს მოებრუნებინათ. მეძინაო, უთქვამს ქალს, მაგრამ ძილში ვგრძნობდი, როგორ წამაძრეს ხელიდგან საათი და ოთხი ბეჭედიო. ვორონინი ტრეპოვის ქუჩაზე ეპოვნათ გულ-წასული. სამკურნალოში წაეყვანათ და მხოლოდ 8 დღის შემდეგ მოსულიყო თავის-თავად გონებაზე. მოვიდნენ ჩემთანაო, უამბნია ვორონინს, სახლის დაჭერა უნდოდათო. ფასზე რომ მოვერიგდით ყავახანა ‹პარიჟში› შევედით და პივა დავლიეთო. პირველი სტაქანი დავლიე თუ არა, მაშინვე თავი გამიბრუვდაო. ბუნდად-ღა მახსოვს, რომ ფაეტონში ჩამსვეს, გამცარცვეს ბეჭდები წამაძრეს ხელიდგან, საათი და ქისა ამომაცალესო. ქისაში 500 მანათი მქონდაო. ამის შემდეგ კი არ ვიცი, ტროპოვის ქუჩაზედ როგორ გავჩნდიო.

ეს ავაზაკები იმის გარდა, რომ კაცსა სცარცვავდნენ და ჰქურდავდნენ, თურმე სწამლავდნენ და უცოდინარობით შეეძლოთ დაეხოცათ კიდეც ხალხი. სასამართლოს ამ ავაზაკების საქმე გადაუდვია იმიტომ, რომ უფრო კარგად გამოიკვლიოს და ღირსეულად დასაჯოს.

— 21 ივლისის ღამეს ელაბუგაში საშინელი ავაზაკობა მომხდარა. მოუკლავთ ერთი მეეტლე. ისე ულმერთოდ არის მოკლული ნაწვალები, რომ მკვლელს ლურსმით თვალები ამოუჩიჩქნია და გულში რვა ალაგას დაუჭრია. მოკლულის გვამი და იმის ცხენი პურის ბოლოზებთან უპოვნიათ. განსვენებულს თურმე ყოველთვის ჯიბით დაჰქონდა 300 მან., მაგრამ იმ დღეს თან არა ჰქონია ეს ფული და მკვლელს უბრალოდ ჩაუდენია ამისთანა საზარელი ავაზაკობა. ერთი ვიღაც დაუჭერიათ რომელზედაც ეჭვი მიუტანიათ, რომ იმას უნდა მოეკლასო.

— ‹Казанскiй Листокъ›-ში უკვე იყო გამოცხადებული, რომ რიკოვი ტიუმენში მოვა და განზრახვა აქვს, რომ ციმბირის ჩრდილოეთის მხარეს დასახლდეს სადმეო. მაგრამ იმედები არ გამართლებია რიკოვს, ყველა იმის შუა-მდგომელობაზე მთავრობას უარი უთქვამს. 29 ივნისს სხვა ტუსაღებთან ერთად რიკოვი ტომსკში გაუგზავნიათ. როდესაც გემთან მისულან, თავ-შიშველა რიკოვს ბევრი ულაპარაკნია ყარაულის უფროსთან. უფროსს არ შეუწყნარებია მისი თხოვნა, და სხვა ტუსაღებთან ერთად შეუყვანიათ სატუსაღოში. მოაჯირს აქედგან ხალხი მოგროვილა და ბევრი ულანძღავთ და უფურთხებიათ ამ საშინელის მცარცველისათვის.

უცხოეთი

გერმანია. ბერლინისა და ვენის გაზეთები დიდს ყურადღებას აქცევენ ბერლინიდამ გაგზავნილს კორრესპონდენციას, რომელიც დაბეჭდილი იყო ინგლისურს გაზეთ „Standard“-ში. კორრესპონდენცია შეეხება გასტეინში ორთა იმპერატორთა ნახვას. კორრესპონდენტს მოჰყავს რომელიღაც გამოჩინებულის დიპლომატის აზრი, ვითომ რუსეთს ჰსურს კვლავ დაუახლოვდეს გერმანიას და ავსტრო-ვენგრიასაო; რასაკვირველია, თუ სამი იმპერატორი კავშირს შეჰკრავენ, მაშინ საფრანგეთი ცარიელზე დარჩებაო და მტრულს პოლიტიკას გერმანიისადმი შეაყენებსო. კორრესპონდენტი თითქმის ამტკიცებს, რომ კისინგენში და გასტეინში სამს საქმეზე ჰქონდათ მოლაპარაკებაო. რასა ჰფიქრობენ რუსეთში და საფრანგეთშიო და როგორ უნდა დაუახლოვდეს გერმანია და ავსტრო-ვენგრია ლონდონის სამინისტროსაო. ბისმარკი ეცდება, საფრანგეთს რითიმე გული მოუგოს და არა რაიმე საბუთი არ მისცეს ხელში ომის ასატეხადაო.

— ზოგიერთს გაზეთებს, მაგალითად ‹Times› და ‹Пештскiй Ллойда›-ს ძალიან ჰსიამოვნებიათ, რომ ავსტრო-ვენგრიამ და გერმანიამ კავშირი შეჰკრეს მაგრამ ვინც რა უნდა სთქვასო, სამთა იმპერატორთა კავშირი, ამბობს პეტერბურგელი კორრესპონდენტი ერთის ვენის გაზეთისა, ამ ჟამად მტკიცე და შეურყეველიაო. სამთა იმპერატორთა სახელმწიფო კაცები რომ გასტეინში შეიყარნენ ერთმანერთის სანახავად, ეს ნამდვილად მეგობრობას და კარგს განწყობილებას მოასწავებსო. ჩვენის მხრივ, ამბობს იგივე კორრესპონდენტი, მეტი იყო, რომ „Пештскiй Ллойда“-ს გამოველაპარაკენითო. მაშ რაღა მნიშვნელობა ჰქონდა ერც ჰერცოგის პეტერბურგში მიბძანებასაო? იქნება პეტერბურგში ჰერცოგს, რომელიც ასე სიხარულით და ალტაცებით მიიღეს, სხვა რამე მინდობილება ჰქონდაო, მაგრამ მაინც-და-მაინც მისს მოსვლას არ შეიძლება, რომ დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა არა ჰქონდესო.

— Rèspublique française ამბობს, რომ მშვიდობიანობის დროს გერმანიას ჰყავს 445,413 ჯარის-კაცი, ამათში 18,139 აფიცერია. ყველა ეს ჯარები მუდამ თოფ-ქვეშ ჰყავთ. ყველანი მთელის წლის განმავლობაში სწავლობენ და მუშაობენო. საფრანგეთსაც ამაზე ნაკლები ჯარი არა ჰყავსო, მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ ყველა ჯარის-კაცი უკლებლივ იყოს თავის ალაგას და ისე მუყაითი იყოს საქმისა, როგორც გერმანიელი ჯარის-კაციო.

—სტრანსკი, რომელმაც ფილიპოპოლის საქმეში მხურვალე მონაწილეობა მიიღო და რომელმაც სოფიაში საერო ყრილობას თავი დაანება, რა კი გარეშე საქმეთა მინისტრის ადგილი ვერ მიიღო, ეხლა რუმელიის წარმომადგენლების მოთავეა და მართებლობის წინააღმდეგ მოქმედობსო.

ოსმალეთი. ამ თთვის 3-სა ავაზაკებს მოუკლავთ მდიდარი კაცი ალი-ფაშა. ამის თაობაზე აი რასა სწერენ სერბიის გაზეთები: „მარიამობისთვის 3-სა, დილით, თირექის მცხოვრებელი მდიდარი ჰაჯი-ალი-ფაშა თავის ცოლ-შვილით და მოსამსახურით წასულა ბაინდირის ცხელს წყლებზე. როცა გამოსულან შარა გზაზე, რომელიც გარე-შემორტყმულია თურმე ხევებით და ნაყოფიერის ვენახ-ბაღებით, მგზავრებს დასცემია მთელი დასი ავაზაკებისა. ავაზაკებს მარტინის თოფები ჰქონიათ. ალი-ფაშას ეტლი გაუჩერებია; ავაზაკებისთვის დამბაჩა უსროლია და უგერებია; მაგრამ ერთი კაცი როგორ შეიკავებდა მთელს დასს ავაზაკებისას. სცემიან ეტლსა და ალი-ფაშას მოტაცება ჰნდომებიათ. ფაშას და მის ცოლ-შვილს ბევრი უბრძოლნიათ. ცოლი და ქალი ფაშისა დასჭრეს თურმე; თვით ფაშა სასიკვდილოდ დაჭრილიაო. მოსამსახურე გაქცეულა ბაინდირში, საიდამაც მდევარი გამოუყენეს თურმე ავაზაკებსა. დაჭრილები სახლში გაგზავნესო, სადაც ფაშა მალე გარდაიცვალაო. ალი-ფაშას ქალიც მალე გარდაიცვალა ჭრილობისაგანაო.

ბოლგარია. ‹Пештскiй Ллойда›-ს კორრესპონდენტი იწერება სოფიიდამ: „ოსმალ-ბოლგარიის კომისიას ჯერ კრება არ დაუწყიაო; მხოლოდ მოლაპარაკება აქვთ მინისტრ პრეზიდენტთანაო. ოსმალეთის დელეგატებმა თან მზა-მზარეული პროექტი მოიტანესო აღმოსავლეთ-რუმელიის შესახებო. ბოლგარიის გაზეთები ამტკიცებენ, რომ ოსმალეთსა და ბოლგარიის შორის არაფერი მორიგება და თანხმობა არ ჩამოვარდნილაო; ყველაფერი ისე დარჩა, როგორც ძველად იყოო; მხოლოდ ის მუხლი კი მიიღეს, რომ მთავარი ალექსანდრე გენერალ გუბერნატორად დაინიშნოსო. გაზეთების ამ გვარმა ლაპარაკმა სამხრეთ ბალკანებზე აღმაშფოთებელი ზედ-მოქმედება იქონია. ამ დღეებში მართებლობას თათარ-ბაზარდჟიყის მაზრაში შეთქმულობა აღმოუჩენია. შეთქმულობაში თვით ხსენებულის ქალაქის წარმომადგენლებსაც მიუღიათ მონაწილეობაო. ამათი განზრახვა ყოფილა: მოვახდინოთ ერის ყრილობა და აღვუდგეთ ჩრდილოეთ ბოლგარიის მართებლობასაო. რადგანაც ამ მაზრაში ოსმალთა მფლობელობის დროსაც არა ერთხელ ყოფილა ხალხის აღელვება, ამიტომ დიდი ყურადღება მიაქციეს ამ ამბავს; მაშინვე გამოიწვიეს ჟანდარმები და ჯარები და ხალხმა აღელვება ველარ მოასწროო. მაგრამ ხალხი ისე გაზრაზებულა, რომ დღესა, თუ ხვალე, ხალხის აღელვება თავს იჩენსო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გასართობი

ალაბამის ქადაგი. ალაბამში ამ ჟამად სცხოვრებს ერთი 13 წლის ქადაგი, ანუ წინასწარ-მეტყველი, რომელსაც დიდი სახელი აქვს განთქმული ალაბამის ახლო-მახლო სოფლის მცხოვრებელთა შორის. ამ გაზაფხულზე ვერნონის (ალაბამაშია) ერთი მებატონის ქალი მოლლი პენნიქტონი უეცრად ავად გახდა. ექიმს ეგონა, რომ ქალს ცოფი სჭირსო, რადგანაც ქალი არავის არ იკარებდა და ყველას, ვინც-კი მიუახლოვდებოდა, ჰკბენდა. ამის შემდეგ ქალს სამი დღე დაეძინა თურმე ხანგრძლივის ძილით, რომელსაც ჩვენში „მკვდრის ძილს" ვეძახით. მესამე დღეს, დილით გამოიღვიძა თურმე და იწინასწარ-მეტყველა: ერთი საათის შემდეგ გარდავიცვლები და ერთის საათის შემდეგვე გავცოცხლდებიო. მართლაც და მისი მშობლები და სხვა იქ დამსწრე პირნი ამბობენ, რომ ქალის სიტყვები გამართლდაო. ერთი საათი მკვდარივით იწვა თურმე პატარა მოლლი და ერთის საათის შემდეგ ისე წამოხტა, თითქოს თავის დღეში არა სტკივებია-რაო. ქალი არწმუნებდა ხალხსა: ცაში ვიყავი, ღმერთმა მომარჩინა და ისევ ქვეყნად გამომგზავნა, რომ ღვთის სიტყვა გადმოგცეთო. ეს საკვირველი ამბავი მოეფინა თურმე ყველგან და ყოველ მხრიდგან მოდიოდა ხალხი ქალთან, რომ ღვთის სიტყვა გაეგონა. ამბობენ, რომ ქალთან მოიყვანეს ორი ავად-მყოფი ყმაწვილი, რომელთ მორჩენაზედაც ექიმებს უარი ეთქვათ და იმედი გარდაეწყვიტნათ, მოლლიმ-კი ხელი მოჰკიდა და მაშინვე მორჩნენო. ამ ქალის სახელი თურმე უფრო გააზვიადა იქაურმა მღვდელმა სპრინგფილდმა. თუმცა მოლლი უსწავლელი და გაუნათლებელიაო, უთქვამს ამ მღვდელს, მაგრამ სახარების ზოგიერთი ბნელი ადგილები მშვენივრად ამიხსნაო.

ამერიკელის ქალების ჯავრის ამოყრა რედაქტორზედ. მილლესტოუნში (პენსილვანიაშია) გამოდის გაზეთი „Herald"-ი. ამ გაზეთის რედაქტორად და გამომცემლად პეტერ რატიგანია, რომელიც ამ თანამდებობის გარდა, იქაურის პოსტამტის დირექტორის თანამდებობას ასრულებს თურმე. პეტერსს ამას წინედ ერთი უბედურება დამართნია. გაზეთში ერთის საზოგადოების ქალებზედ რაღაცა წერილი დაუბეჭდია პეტერსსა და სასაცილოდ აუგდია. ქალებს ჯავრის ამოყრა განუზრახავთ. მოგროვილა თხუთმეტი ქალი, დახურულის ეტლებით წასულან ბუტლერიდგან მილლერსტოუნში და ფოსტის ეზოში დამალულან. გამოსულა თუ არა პეტერსი ფოსტიდამ, მისცვივნიან და რაც ძალი და ღონე ჰქონიათ წკეპლებით ცემა დაუწყვიათ. იქამდე გაოცებულა და დაბნეულა საბრალო პეტერსი, რომ წინააღმდეგობა არც-კი დაუწყვია. იმდენი უცემნიათ ქალებს, ვიდრე არ დაღლილან და ცემა არ მოჰბეზრებიათ. ამ ამბავს დიდი მითქმა-მოთქმა აუტეხნია იმ ქალაქში. ამბობენ თურმე, რომ პეტერსის მეგობრებს განზრახვა აქვსთ ქალების ქმრებს მოსთხოვონ შეურაცხ-ყოფისათვის დაკმაყოფილებაო.

კაცის-მჭამელობა. ფილადელფიიდგან „Times"-ში შემდეგს ამბავსა სწერენ: ამას წინედ კოლორადის სასამართლომ ვიღაც პაკკერს ორმოცის წლით ციხეში დამწყვდევა გადაუწყვიტაო. პაკკერს იმ ბრალსა სდებდნენ, რომ როცა თავის ორის ამხანაგით მთებში გზა დაებნა და შიმშილმა შეაწუხა, დაჰხოცა ამხანაგები და შესჭამაო. პაკკერმა-კი იმითი იმართლა თურმე თავი, რომ მაშინა ვჭამე, როცა თვითონ, თავის თავად დაიხოცნენო.

შეცდომის გასწორება. ამას წინედ ერთს შვეციის გაზეთში ერთი სასაცილო შეცდომის გასწორება იყო დაბეჭდილი. მოგვყავს სიტყვა-სიტყვით: „ჩვენ გაზეთში გვქონდა გამოცხადებული, რომ ისტადში მზარეულმა დედა-კაცმა თავი მოიკლა დამბაჩითაო, თავის მკვლელობის მიზეზი უნუგეშო სიყვარული ყოფილაო. ეს ამბავი ცოტა შეცდომით არის ნაამბობი. ისტადში კი არ მოხდა, არამედ გაპარაიდაში, თავი მოიკლა ჯარის-კაცმა და არა მზარეულმა დედა-კაცმა. თვით-მკვლელობის მიზეზი სიმთვრალე ყოფილა და არა უნუგეშო სიყვარული და, დასასრულ, ამ ჯარის-კაცს დამბაჩით კი არ მოუკლავს თავი, არამედ ჩამომრჩვალაო".

დეპეშა

აგვისტოს 12-სა

პეტერბურგი. უმაღლესის ბრძანების ძალით 11 აგვისტოს სამხედრო სასწავლებლებში ეგზამენების შემდეგ აფიცრობა მიიღო 692 ახალგაზდა კაცმა კრასნოე სელოში.

გამოცხადდა დადგენება სახელმწიფო რჩევისა სამოქალაქო სამსახურის განსაკუთრებულ უპირატესობის თაობაზე შემდეგ საგენერალ-გუბერნატოროებში: პრიამურისაში, აღმოსავლეთ-ციმბირისაში, სტეპნოისაში და ტურკესტანისაში, აგრეთვე ამიერ-კავკასიაში, ტობოლის გუბერნიაში, ტომსკისაში, არხანგელსკისაში, ოლონეცკისა და ვოლოგოდისაში, პოლშის სამეფოში და სახალინზე.

ვენა. აქ მოვიდა ამბავი, რომ რაც აღმოსავლეთს რუმელიაში ბოლგარიის ჯარებია, ალექსანდრე მთავრის მხარე უჭირავთო; რუმელიის მთავრობის მოთავედ მუტკუროვი გამოაცხადესო. მეციხვნეთა ჯარი და ხალხიც შუმლასა და ტირნოვოში მთავრის მხარეზეაო.

სოფია. ხალხმა თავი მოიყარა რუსეთის კონსულის სახლის წინ და თანაგრძნობა გამოუცხადა კონსულსაო.

ბუქარესტი. რუმელიიდამ და ბოლგარიიდამ მოვიდა ამბავი, რომ ჯარის მომეტებული ნაწილი ალექსანდრე მთავრის მხარეზეაო.

აგვისტოს 13-სა

პეტერბურგი. გუშინ დაბრუნდა სამზღვარ-გარეთიდამ ფინანსთა მინისტრი.

სიზრანის გზა სრულიად შეკეთდა. მგზავრნი დაუბრკოლებლივ მოგზაურობენ და საქონელიც შეუწყვეტლივ გადააქვთ და გადმოაქვთ.

ბუქარესტი. ბოლგარიაში არეულობაა ისევ; მაგრამ ნამდვილი ამბები კი არა მოდის რა; ყოველი ქალაქი შიშიანობის წესზეა დაყენებული ყოველივე მისვლა მოსვლა შეწყვეტილია. მგზავრებსაც-კი არ უშვებენ სამზღვრებზე. ამბობენ, რომ დროებითის მთავრობის წევრთა-შორის უთანხმოება ჩამოვარდაო. პორტა ჯერ-ჯერობით გაჩუმებულია და უცდის დროსაო.

ბელგრადი. ბოლგარიის ამბების გამო, კოროლმა გადასდო სამზღვარ გარედ წასვლაო, ხოლო გარაშინინს მიეწერა, რომ დაუყოვნებლივ დაბრუნდეს უკან; მინისტრები ხშირად იკრიბებიან სათათბიროდ გენერლების თანადასწრებითა. ამბობენ, რომ სერბიის ჯარი უნდა თოფ-ქვეშ იქმნას დაყენებულიო.

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპვ (1886) წელიწადია.
ქვეყნის შექმნიდამ **7394**.
ძველი ინდიქტიონი მე-14,
ამისი ქორონიკონი—უოჱ=478 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.
ახალი ინდიქტიონი მე-4,
ამისი ქორონიკონი—მბ=42 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.
1886 წლის ზედ-ნადები—3.

აგვისტო 31 დღით არის

14 დღე ხუთშაბათი. მიქეა წინ.-მეტყ. კათოლ. დღის ღვთის-მსახურება. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—1—39. ტფილისში მზე ამოდის 5—19, ჩადის 6—44; მთვარე ამოდის 1—45, ჩადის 3—58.

15 დღე პარასკევი. მიცვალება ყოვლად წმ. ღვთის-მშობლის მარიამისა. კათოლ. მიცვალება ღვთის-მშობლის მარიამისა. სომეხ. ნახატონაქი. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—1—22. ტფილისში მზე ამოდის 5—20, ჩადის 6—43; მთვარე ამოდის 2—50, ჩადის 4—52.

16 დღე შაბათი. ხელთ-უქმნელის ხატისა უფლისა იესო ქრისტესი. კათოლ. წმ. ალმსაარ. ვიაცინტასი. სომეხ. ნავაკატიკი. დღესასწ. წმ. ეჩმიაძინისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—1—5. ტფილისში მზე ამოდის 5—21, ჩადის 6—41; მთვარე ამოდის 4—0, ჩადის 5—40.

17 დღე კვირა. მოწ. მირონისა. კათოლ. მე-8 დღე. წმ. ლავრენტის წამებისა. სომეხ. მიცვალება წმ. ღვთის-მშობლისა. ყურძნის კურთხევა. ამ დღიდგან 9 დღე ნახატონაქი აქვსთ. დღესასწაული ფეთხაინის ეკკლესიაში. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—0—47. ტფილისში მზე ამოდის 5—22, ჩადის 6—39; მთვარე ამოდის 5—13, ჩადის 6—20.

18 დღე ორშაბათი. წმ. მოწ. ფლორესი, ლავრესი და სხ. კათოლ. წმ. ალმსაარ. როხისა. სომეხ. ჰიშატაკ მერელოცი და ნახატონაქი. მუსულ. 1 რიცხვი ზილჰიჯას თთვისა, 1303 წ. ჰიჯრისა. ჭეშმარიტი შუა დღე 12—0—29. ტფილისში მზე ამოდის 5—23, ჩადის 6—38; მთვარე ამოდის 6—27, ჩადის 7—0.

გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

2 ივლისიდამ 1-ლ აგვისტოდამ.

თეთრი პური რუსული 1 გირ.	5 კაპ.
წითელი პური 1-ის ხარისხისა .	2½
› › 2 ›	2 ›
თონის წითელი პური 1-ის ხარის.	4½ ›
› › 2—	3 ›
› › 3 ›	2½ ›
ჭვავის მამის პურის ლავაში	
1-ლის ხარისხისა . .	4½ ›
მე-2 ხარისხისა . .	3½ ›
მე-3 — . . .	3 ›
ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა.	7 ›
‹ › 2	6 ›
სუკი	12 ›
ცხვრის ხორცი . . .	6 ›

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ:

ბათუმიდამ გადის: ოთხშაბათობით 4 ს. ნაშუადღ. მოკლე გზით, რადგან მარტო ნოვოროსიისკს და კერჩში შეივლის შორის გზით. შაბათობით 8 საათ. საღამოზე (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობათ საღამოთი სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამეს შორის გზით, მოკლეს გზით—დილით.

შაბათობით სტამბოლიდამ მოდის დილით.

შაბათობით სტამბოლიდამ მოდის დილით.

მიმოსვლა რკინის გზისა

ბათუმსა და ტფილისს შუა

სტანციები	მოდის		გადის		სტანციები	მოდის		გადის	
	საათ.	წამი.	საათ.	წამი.		საათ.	წამი.	საათ.	წამი.
	დილით					დილით			
ტფილისი .	—	—	8	35	ბათუმი . .	—	—	8	35
ავჭალა. . .	8	52	8	55	ქობულეთი .	9	25	9	28
მცხეთა. . .	9	13	9	21	ნატანები . .	9	54	9	57
ქსანი . . .	9	39	9	41	სუფსა . . .	10	21	10	27
კასპი. . . .	10	6	10	9	ლანჩხუთი .	11	—	11	3
გრაკალი . .	10	29	10	31	ნიგოითი . .	11	14	11	16
გორი . .	10	54	11	4	საჯავახო. .	11	39	11	41
ქარელი . .	11	33	11	36	**სამტრედია**	11	56	12	15
გომი . . .	12	—	12	4	კოპიტნარი .	12	35	12	37
ხაშური . .	12	21	12	41	რიონი . . .	1	7	1	20
სურამი . .	12	53	12	56	აჯამეთი . .	1	32	1	34
ფონი . . .	1	24	1	27	**ყვირილა** .	2	11	2	26
ბეჟათუბანი.	2	14	2	34	ძირულა . .	3	4	3	6
მარელისი .	3	3	3	5	ბელაგორი .	3	33	3	36
ბელაგორი .	3	32	3	35	მარელისი .	4	3	4	5
ძირულა . .	4	2	4	5	**ბეჟათუბანი**	4	34	4	54
ყვირილა. .	4	43	4	58	ფონი . . .	5	41	5	44
აჯამეთი . .	5	35	5	37		საღამოთი			
	საღამოთი				სურამი. .	6	12	6	15
რიონი. . .	5	49	6	4	**ხაშური** . .	6	27	6	42
კოპიტნარი .	6	34	6	36	გომი . .	6	59	7	3
სამტრედია .	6	56	7	16	ქარელი . .	7	27	7	30
საჯავახო. .	7	31	7	33	**გორი** . . .	7	59	8	9
ნიგოითი . .	7	56	7	59	გრაკალი . .	8	32	8	34
ლანჩხუთი .	8	10	8	14	კასპი. . . .	8	54	8	57
სუფსა . . .	8	47	8	55	ქსანი . . .	9	22	9	24
ნატანები . .	9	19	9	22	მცხეთა. . .	9	42	9	48
ქობულეთი .	9	48	9	51	ავჭალა. . .	10	6	10	8
ბათუმი . .	10	41	—	—	**ტფილისი** .	10	25	10	55

ქუთაისიდამ გადის რიონს შუადღის 12 საათსა და 20 წამზედ და საღამოზედ 5 საათსა და 15 წამზედ.

რიონიდამ ქუთაისს მიდის ნაშუადღევს 1 საათსა და 30 წამზედ და საღამოს 6 საათსა და 20 წამზედ.

ტფილისსა და სურამ შუა

	დღისით					ღამით			
ტფილისი .	—	—	3	15	სურამი. . .	—	—	2	35
ავჭალა . .	3	38	3	41	**ხაშური** . .	2	47	3	2
მცხეთა . .	4	6	4	16	გომი . . .	3	26	3	31
ქსანი . . .	4	42	4	45	ქარელი . .	4	5	4	12
კასპი . . .	5	20	5	25	**გორი** . . .	4	53	5	8
გრაკალი . .	5	53	5	56	გრაკალი . .	5	40	5	45
	საღამოთი					დილით			
გორი . . .	6	28	6	43	კასპი . . .	6	13	6	19
ქარელი . .	7	24	7	29	ქსანი . . .	6	54	6	57
გომი . . .	8	3	8	7	მცხეთა . .	7	23	7	33
ხაშური . .	8	31	8	46	ავჭალა . .	7	58	8	1
სურამი . .	8	58	—	—	**ტფილისი** .	8	24	—	—

განცხადებანი

ქუთაისის სათავად-აზნაურო სასწავლებელი.

მაქვს პატივი ვაცნობო ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა, რომელთაც ჰსურთ შვილები მიაბარონ რწმუნებულს ჩემდამი **სათავად-აზნაურო სასწავლებელში**, რომ მომავალის ენკენისთვისათვის მოსამზადებელის კლასის პირველს განყოფილებაში **ოც-და-ათი ვაკანსია** არის თავისუფალი, რომლებზედაც მიღებულ იქმნებიან უეგზამენოდ შვიდის წლის ყმაწვილები. რამდენსამე შარშანდელს მოსწავლეს ამ განყოფილებისას კიდევ ექმნებათ ეგზამენი აგვისტოს უკანასკნელ რიცხვებში და, თუ ისინი გადაყვანილ იქმნენ შემდეგ განყოფილებაში, იმ შემთხვევაში 30-ს ვაკანსიას კიდევ მოემატება რამდენიმე ვაკანსია.

მოსამზადებელის კლასის სხვა განყოფილებაში ყველა ვაკანსიები დაკავებულია და ვერავის მივიღებთ ამ წელიწადში. მესამე პროგიმნაზიულს კლასში **ხუთი ვაკანსია** და ამ ვაკანსიების დაჭერა შეუძლიანთ თოთხმეტის წლის ყმაწვილებს, რომელნიც ამ კლასის შესაფერად მომზადებულნი აღმოჩნდებიან.

თხოვნა და საბუთები (წლოვანობის მოწმობა და აზნაურობისა, ან ბანკში მონაწილეობისა) ერთად უნდა შემოიტანონ სასწავლებლის მმართველის სახელზედ აგვისტოს 15 რიცხვიდგან. ყმაწვილების მიღების საქმე გარდაწყდება აგვისტოს უკანასკნელს რიცხვს.

სასწავლებლის მმართველი
(8—6) ა. ჭიჭინაძე.

პანსიონი ალექსანდრა იაკოვლევნა ლისენკოსი გადავიდა ვოდოვოზნი ქუჩაზედ, კადეცკი კორპუსის მახლობლივ, არტაზოვის სახლში № 12. (6—3)

ახალი წიგნი

(რუსულს ენაზედ)

„კერძო და საადგილ-მამულო უფლებანი ძველს საქართველოში". I გამოცემა. ფასი 35 კაპ. ისყიდება ტფილისის წიგნის მაღაზიებში. (50—6)

Дозволено цензурою. Тифлисъ 13 августа, 1886 года. სტამბა გ. მელიქიშვილისა, არწრუნისეულ ქარვასლაში №№ 26, 27, 28. რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.